ოქმი:ო37. 3726257001
თარიღი:14/09/2026

ოქმი N 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის

2026 წელი, 11 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

12:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - დ.კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - პ.კიღურაძე; ტ.აროშიძე: საკრებულოს .საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, ე. გორდელაძე, დ. ხურციძე;

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები: მ.ჩხიკვიშვილი, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი.

საკრებულოს წევრები:ნ.გოლიაძე, ნ.ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვ.ხავთასი, ნ. ურუშაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. გაბისიანი, მ. ცქვიტინიძე, დ. ასათიანი, თ. ქინქლაძე, ი. დობორჯგინიძე, ნ. გობრონიძე, ლ. მესხი, მ. ცქვიტიშვილი, დ. თოიძე, გ. კილაძე, ე. წუწუნავა, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, გ.სირაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები:ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გ.ანთაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი თ.ჩავლეშვილი, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 30-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დამტკიცეს - 30-ხმით.

დღის წერიგი

60.1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით

61.2 ..ქ.ოზურგეთში ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პარკში (ს/კ 26.26. 47.162),ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით

62.3."ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის მიზნით ფარული კენჭისყრის ორგანიზებასთან დაკავშირებული პროცედურების ჩასატარებლად გამოაცხადა შესვენება.

საკრებულოს სხდომა განახლდა 13-00 სთ-ზე.რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა სამუშაო ჯგუფის (ხმის დამთვლელი)კომიისიის შედეგები სხდომას გააცნო დ.დარჩიამ. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 30 წევრმა. საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, კენჭისყრის შედეგებით არჩეულ იქნა ნათია გოლიაძე.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით

63.4."ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე

მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის N61 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით

5.სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი